



შეიძლება კითხვა დაგისვით



ვინმეს ოდესმე აუღია
ბიბლია და უჩვენებია
თქვენთვის, თუ როგორ
შეიძლება იცოდეთ
დანამდვილებით, რომ
ცათა სასუფეველში
მოსვდებით?

ბიბლია შეიცავს,
როგორც ცუდ, ასევე
კარგ ამბავს.

ცუდი ამბავი თქვენ
შეგეხებათ.

კარგი ამბავი
კი ღმერთზე
მოგითხრობთ.

მოდით, ჯერ ცუდ ამბავს
გავეცნოთ...

ცუდი ამბავი №1

ჩვენ ყველა ცოდვილები ვართ.

რომაელთა 3:23 ამბობს: „ვინაიდან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას.“

„შესცოდა“ ნიშნავს იმას, რომ მიზანს ავაცილეთ. როცა ვიტყუებით, გვძულს, ვმრუშობთ ან ვიპარავთ, ჩვენ ღმერთის მიერ დადგენილ წესებს ვარღვევთ.





დავუშვათ, მე
და თქვენ უნდა
ვისროლოთ ქვა
და ვცადოთ
მივაწვდინოთ
ჩრდილოეთ
პოლუსს. თქვენ
შეიძლება ჩემზე
შორს ისროლოთ,
მაგრამ ვერც ერთი
ჩვენგანი ვერ
მისწვდება მას.

როცა ბიბლია ამბობს, რომ „ყველამ
შესცოდა და მოკლებულნი არიან
ღვთის დიდებას,” ეს ნიშნავს იმას, რომ
ღმერთის მიერ დაწესებული სრუ-
ლყოფილების სტანდარტისაგან ძალიან
შორს ვართ.

თუმცა ცუდი ამბავი სულ უფრო
და უფრო უარესი ხდება...

ცუდი ამბავი №2

სასჯელი ცოდვისთვის
სიკვდილია.

რომაელთა 6:23 ამბობს: „ვინაიდან
ცოდვის საზღაური სიკვდილია.“

დავუშვათ, თქვენ იმუშავეთ ჩემთვის და
მე გადაგიხადებთ 50\$. ეს 50\$ თქვენი
გასამრჯელოა.



ბიბლია ამბობს,
რომ ცოდვის
გამო სიკვდილი
მოვიპოვეთ. ეს
ნიშნავს, რომ
ჩვენ სიკვდილს
ვიმსახურებთ
და სამუდამოდ
განშორებულნი ვართ
ღმერთისგან.



რადგან არ იყო გზა,
რომლითაც ღმერთთან
მისვლას შევძლებდით,
ბიბლია ამბობს, რომ ღმერთი
თავად მოვიდა ჩვენთან!

კარგი ამბავი №1

ქრისტე მოკვდა შენთვის.

რომაელთა 5:8 ამბობს: „მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ ცოდვილნი ვიყავით.“

დავუშვათ, თქვენ ხართ საავადმყოფოში და კვლებით კიბოთი. მე მოვდივარ და გეუბნებით, „მოდი, ავიღოთ კიბოს უჯრედები **თქვენი** სხეულიდან და გადმოვიტანოთ **ჩემს** სხეულში.“

ეს რომ შესაძლებელი იყოს,

რა მომივიდოდა მე?

რა მოგივიდოდათ თქვენ?

მე მოვკვდებოდი
და თქვენ
იცოცხლებდით.

მე მოვკვდებოდი
თქვენს ნაცვლად.



ბიბლია ამბობს, რომ ქრისტემ ის
სასჯელი იტვირთა, რომელსაც ჩვენ
ვიმსახურებდით ცოდვისთვის და
მოკვდა ჩვენს ნაცვლად.

სამი დღის შემდეგ ქრისტე აღდგა
მკვდრეთით და ამით დაამტკიცა, რომ
ცოდვა და სიკვდილი დამარცხდა და
რომ იგი ნამდვილად ღმერთია.

რაც უფრო უარესდება ცუდი ამბავი,
მით უფრო უკეთესი ხდება კარგი
ამბავი!

კარგი ამბავი №2

თქვენ გადარჩებით რწმენით ქრისტეში.

ეფესელთა 2:8-9 ამბობს: „ვინაიდან მადლით (დაუმსახურებელი წყალობით) ხართ გადარჩენილები (დახსნილნი ცოდვის სასჯელისგან), რწმენის მეშვეობით და ეს თქვენგანთ კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია, არა საქმეთაგან, რათა არავინ დაიკვეხოს.”

რწმენა ნიშნავს ნდობას.

კითხვა: რატომ უნდა ენდოთ ქრისტეს?
პასუხი: თქვენ მხოლოდ მას უნდა დაეყრდნოთ, რათა მან გაპატიოთ და მოგცეთ საუკუნო სიცოცხლე.

როგორც სკამს ენდობით და იცით,
რომ ის დაგიჭერთ თქვენი ყოველგვარი
ძალისხმევის გარეშე, ასევე უნდა ენდოთ
იესო ქრისტეს, რომელიც მიგიყვანთ



ცათა სასუფეველში თქვენი
ყოველგვარი ძალისხმევის
გარეშე. თუმცა შეიძლება
თქვათ:

”მე ეკლესიაში დავდივარ”

”მე არ ვიპარავ”

”მე კარგი ადამიანი ვარ”

”მე ღარიბებს ვეხმარები”

”მე რელიგიური ვარ”

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ წესიერი
ცხოვრება, ეკლესიაში სიარული,
ღარიბების დახმარება, ან სხვა კეთილი
საქმეები ვერ დაგეხმარებათ ცათა
სასუფეველში მოსახვედრად. თქვენ
მხოლოდ იესო ქრისტეს უნდა ენდოთ
და ღმერთი დაგასაჩუქრებთ საუკუნო
სიცოცხლით!

გიშლით რამე ხელს, რომ ახლავე ენდოთ ქრისტეს?

1. _____
2. _____
3. _____
4. _____

ყურადღებით იფიქრეთ. არაფერია
იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე
თქვენი საჭიროება, ენდოთ ქრისტეს.

გსურთ ღმერთს უთხრათ, რომ
ენდობით იესო ქრისტეს, როგორც
თქვენს მხსნელს? თუ გსურთ, რატომ
არ ილოცვებთ ახლავე და არ ეტყვიით
ღმერთს, რომ ენდობით მის ძეს?

გახსოვდეთ!

ლოცვა არ გადაგარჩენთ. მხოლოდ ქრისტეზე მინდობა გადაგარჩენთ.

ლოცვა მხოლოდ საშუალებაა იმისა, რომ ღმერთს უთხრათ ის, თუ რას აკეთებთ.

„უფალო, ვიცი, ცოდვილი ვარ.
ვიცი ჩემი ცოდვა სასჯელს
იმსახურებს. მე მწამს, რომ
ქრისტე ჩემთვის მოკვდა და
აღდგა მკვდრეთით. მე ვენდობი
იესო ქრისტეს, როგორც
ჩემს მხსნელს. მადლობას
გიხდის პატიებისა და საუკუნო
სიცოცხლისათვის,
რომელიც ახლა
უკვე მაქვს. იესოს
სახელით, ამინ.“



რა მოხდა ახლა?

იოანეს 5:24 გვიხსნის: „ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და ჩემი მომავლინებელი სწამს, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე და განკითხვაზე არ მიდის, არამედ უკვე სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავიდა.“

- „მოისმინეთ“ ღმერთის სიტყვა?
- „გწამთ“ იმის, რაც ღმერთმა თქვა და ენდობით ქრისტეს, როგორც თქვენს მხსნელს?
- „საუკუნო სიცოცხლე“ რას ნიშნავს თქვენთვის: მომავალს თუ ახლანდელს?
- როგორ არის ნათქვამი: „განკითხვაზე არ მიდის“ თუ „შეიძლება არ წავიდეს“?
- როგორ არის ნათქვამი: „სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავიდა“ თუ „გადავა“?

*საუკუნო სიცოცხლე ფაქტზეა
დამყარებული და არა გრძნობაზე.*

დაიმახსოვრეთ იოანეს 5:24 დღეს.


ახლა რას აკეთებთ?

ახლა, როცა უკვე ენდეთ ქრისტეს როგორც ზეცისკენ მიმავალ ერთადერთ გზას, აქ მოცემულია, თუ როგორ უნდა დაუახლოვდეთ ღმერთს.

- ღოცვის საშუალებით უთხარით ღმერთს, რას ფიქრობთ (ფილიპელთა 4:6,7).
- იკითხეთ ბიბლია ყოველდღე, რათა უფრო მეტი გაიგოთ ღმერთზე და უფრო მეტი ისწავლოთ მისგან (2 ტიმოთე 3:16,17). დაიწყეთ ფილიპელთა წერილის კითხვით.
- განადიდეთ ღმერთი მორწმუნეებთან ერთად ადგილობრივ ეკლესიაში (ებრაელთა 10:24,25).
- მოუყევით სხვებსაც იესო ქრისტეს შესახებ (მათე 4:19).

თუ ეს ბუკლეტი თქვენთვის სასარგებლო აღმოჩნდა, გაუზიარეთ იგი სხვებსაც.

თუ დამატებითი შეკითხვები
გაგინდათ ამ ბუკლეტთან
დაკავშირებით, დაგვიკავშირდით
მისამართზე:



The Gospel. Clear and Simple.

p.o. box 741417 | dallas, tx 75374

www.evantell.org | 800.947.7359

© 2007 evantell, inc.

Georgian
TRMKA001